# ეკოტურიზმი

მოამზადა მაია ბლიაძემ

Ecotourism

# ტურიზმი და ტურისტი

- ტურიზმი მოგზაურობაა დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან ბიზნეს მიზნებით.
- მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (United Nations World Tourism Organization, www.unwto.org ) ტურისტს ასე განმარტავს: „ადამიანი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სხვა ადგილას ერთ თანამიმდევრულ წელზე ნაკლები ხნით, დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან სხვა მიზნებით.

# ტურიზმის მსოფლიო დღე

ტურიზმის მსოფლიო დღე ყოველწლიურად 27 ოქტომბერს აღინიშნება.

მისი მიზანია ტურიზმის პროპაგანდა, ეკონომიკის სფეროში ტურიზმის როლის გაძლიერება და მსოფლიოს ხალხებს შორის მეგობრული და კულტურული ურთიერთობების დამყარება.

# რა არის ეკოტურიზმი?

- ტერმინი „ეკოტურიზმი“ 1983 წელს მექსიკელმა ეკონომისტმა და ეკოლოგმა ჰექტორ ცებალოს-ლასკურეინმა შემოიტანა.
- ეკოტურიზმს იგი უწოდებდა მოგზაურობას „შედარებით ხელუხლებელ ან დაუბინძურებელ ბუნებრივ ტერიტორიებზე სპეციფიკური მიზნებით, კერძოდ: განათლების, ბუნების პეიზაჟებით, მცენარეებითა და ველური ცხოველებით აღტაცებისა და ტკბობის, ასევე ამ ტერიტორიების კულტურული თავისებურებების შესწავლის მიზნით“.

# რა არის ეკოტურიზმი?

2002 წელს კვებეკში (კანადა) ჩატარებულ ეკოტურიზმის მსოფლიო სამიტზე მიღებულ ე.წ. კვებეკის დეკლარაციაში ეკოტურიზმი ასეა ფორმულირებული: „ეკოტურიზმი ტურიზმის სახეობაა, რომელიც მიმართულია გარემოს დაცვის პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერაზე, ადგილობრივი და აბორიგენი საზოგადოების უფლებების ცნებასა და დაცვაზე, ტურისტების კულტურულ და გარემოსდაცვით განათლებაზე“.

# რა არის ეკოტურიზმი?

ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF, https://wwf.panda.org/) ეკოტურიზმს ასე განმარტავს: „ეკოტურიზმი ტურიზმის ისეთი სახეა, რომელიც მოიცავს მოგზაურობას ისეთ ადგილებში, სადაც შედარებით ხელუხლებელია ბუნება და შესაძლებელია მოცემული ადგილის ბუნებრივი და კულტურულ-ეთნოგრაფიული თავისებურებების გაცნობა. ამასთან, არ არღვევს ეკოსისტემების მთლიანობას და ქმნის ისეთ ეკოლოგიურ პირობებს, როდესაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა ხელსაყრელი და მომგებიანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის“.

# რა არის ეკოტურიზმი?

ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის The Internacional Ecotourizm Society (TIES, http://www.ecotourism.org ) განმარტებით „ეკოტურიზმი ეს არის პასუხისმგებლიანი მოგზაურობა ბუნებრივ ზონებსა და რეგიონებში, რომლის დროსაც ადგილი აქვს გარმოს დაცვას და რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კთილდღეობას“.

THE INTERNATIONAL ecotourism SOCIETY

# რით ხასიათდება ეკოტურიზმი?

- ეკოტურიზმი ტურისტების ისეთი მოგზაურობაა, რომლებსაც გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვთ გათვითცნობიერებული.
- ეკოტურიზმის მთავარი ობიექტი ველური ბუნებაა და ასეთი ტურების მიზანიც ველურ ბუნებასთან ურთიერთობაა.
- ეკოტურიზმს მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ეკოლოგიური და კულტურულ-სოციალური ხასიათის უარყოფითი ზეგავლენის შედეგები, ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას.

# ეკოტურიზმი და მდგრადი განვითარება

ეკოტურიზმი,  იგივე მდგრადი ტურიზმია (Sustainable tourism) და, შესაბამისად, მდგრადი განვითარების კონცეფციის შემადგენელი ნაწილიც, რადგან იგი სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრაციას მოიცავს  პრაქტიკულ საქმიანობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

# რას ნიშნავს „რბილი ტურიზმი“?

- 1980 წელს გერმანიაში „რბილი“, იგივე „მსუბუქი“ ტურიზმის („Sanfter Tourismus“) ანუ „ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის ტურიზმის“ პირველი კონცეფცია გაჩნდა.

- „რბილი ტურიზმის“ ცნება, როგორც ინდუსტრიალური მასობრივი ანუ „უხეში“ („ძლიერი“) ტურიზმის ალტერნატივა, რ. იუნკმა დაამკვიდრა.

# „რბილი“ ტურიზმი

- „რბილი „ („მსუბუქ“”) ტურიზმის პრიორიტეტები (განსხვავებით „უხეში“, „ ძლიერი“ ტურიზმისგან, რომლის მთავარი მიზანი მოგების მაქსიმიზაციაა) არა მხოლოდ წარმატებული ბიზნესია, არამედ ტურისტული რეგიონების კულტურული კეთილმოწყობა, რესურსების რაციონალური გამოყენება, გარემოსადმი ზიანის მიყენების მინიმიზაცია და ეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებაა.
- „რბილი“ ტურიზმის სისტემაში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია არა უბრალო ტურისტი, არამედ შეგნებული და მომზადებული ეკოტურისტი.

# „რბილი“ და „უხეში“ ტურიზმის შედარება

| „უხეში“ ტურიზმი | „ რბილი“ ტურიზმი |
|---|---|
| მასიურიობა | ინდივიდუალური, ოჯახური და მეგობრული ტურები |
| ხანმოკლე გასვლები | გრძელვადიანი მოგზაურობა |
| გადაადგილების სწრაფი საშუალებები | გადაადგილების შედარებით ნელი ან ზომიერად სწრაფი საშუალებები |
| წინასწარ შეთანხმებული პროგრამა | სპონტანური გადაწყვეტილებები |
| გარეგანი მოტივაცია | შინაგანი მოტივაცია |
| ცხოვრების სტილის იმპორტი | ცხოვრების სტილი მოსანახულებელი ადგილის კულტურასთან შესაბამისობაშია |
| ღირშესანიშნაობები | შთაბეჭდილებები |
| კომფორტი და პასიურობა | აქტიურობა და მრავლფეროვნება |
| მოგზაურობის წინ ინტელქტუალური მომზადება უმნიშვნელოა | სამოგზაუროდ შერჩეული ტერიტორია თუ ქვეყანა წინასწარაა შესწავლილი |
| ტურისტი თავს გრძნობს როგორც ”მეპატრონე” რომელსაც იმსახურებენ | მოგზაური ეცნობა ახალ კულტურას |

# ეკოტურიზმის მიზნები და ამოცანები

- ტურიზმის ხარჯზე ფინანსებისა და ინვესტიციების მოზიდვა გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დასაცავად;
- ფინანსების მოზიდვა და ფასეულობების გაზრება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით;
- ტურისტებისა და ტურინდუსტრიის დაკმაყოფილება შემეცნებითი და სათავგადასავლო ტურიზმის დანერგვით;
- ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

# ეკოტურიზმის მიზნები და ამოცანები

- არ მოახდინოს რესურსების დეგრადაცია და გარემოსთვის ზიანის მიუყენებლად განვითარდეს;
- გრძელვადიანი სარგებლობა  მოუტანოს რესურსებს, ადგილობრივ მოსახლეობასა და მრეწველობას (სარგებლობა შეიძლება იყოს სამეცნიერო, სოციალური, კულტურული ან ეკონომიკური);
- გამოიყენოს რესურსები მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული პრინციპით;

# ეკოტურიზმის მიზნები და ამოცანები

- გაავრცელოს ინფორმაცია ადგილობრივ მოსახლეობაში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მეწარმეებსა და ტურისტებს შორის (მოგზაურობის დაწყებამდე, პროცესში და მისი დასრულების შემდგომ);
- დაამყაროს პარტნიორობა რამდენიმე მხარესთან: მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, მეწარმეები, მეცნიერები/მკვლევრები, ტურისტები და ადგილობრივი მოსახლეობა;
- თითოეულ მათგანს ჩამოუყალიბოს მორალური და ეთიკური პასუხისმგებლობა და ქცევის ნორმები ბუნებრივი და კულტურული გარემოს მიმართ.

# ეკოტურიზმის კონცეფცია (Steck, 1999):

ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული თავსებადობა, როგორც ფუნდამენტური პირობა

ადგილობრივი თემის მხრიდან კონტროლი და მანაწილეობა;

ბუნებრივ რესურსებთან თანაბარი ხელმისაწვდომობა; კონტოლი რეკრეაციულ დატვირთვებზე

ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციის პრინციპები

ფინანსურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული უპირატესობის შექმნა:

ა) დაცული ტერიტორიების დაფინანსება;

ბ) ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფა შემოსავლებით

ფართო გავრცელება

გარემოსდაცვითი და კულტურული აზროვნებისა და ცნობიერების ამაღლება

ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი განათლება; ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციების პატივისცემა და დაცვა;

გამოცდილების გაზიარება;

ფართო გავრცელება

# ეკოტურიზმის უპირატესობები

- ეკოტურიზმის სოციალური მნიშვნელობა ბევრად უფრო მეტია  მის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე;
- რეგიონის ეკონომიკური აქტივობისა და ეკონომიკური სტაბილიზაციის დონის  ზრდა მინიმალური დანახარჯების პირობებში;
- ეკოტურიზმი ხე-ტყის დამზადებისა და ბრაკონიერობის ალტერნატივა შეიძლება გახდეს;
- ეკოტურიზმი ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დამატებითი საშუალებაა;
- ეკოტურიზმის დროს  ხდება ტურისტული დატვირთვების  და ტურისტული ნაკადების განაწილების  სწორი დაგეგმვა.

# ეკოტურიზმის უპირატესობები

- როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ტურისტების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება;
- სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურული გაცვლა;
- რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარება (ტრანსპორტი და გზები, კვება, მაღაზიები, ჯანდაცვა);
- დაინტერესებული მხარეების (სასტუმროებისა და პარკების ადმინისტრაცია) ინვესტიციები რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად;
- შემეცნებითი, განმავითარებელი და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ტურიზმი.

# ეკოტურიზმის ნეგატიური მხარეები

- სტრესი ცხოველებისთვის;
- საფრთხე ექმნება ნიადაგსა და მცენარეებს, თუ ტურისტები ეკობილიკებს აცდებიან;
- ნარჩენები;
- ავტოპარკინგი;
- კულტურული ურთიერთზემოქმედება.

# ეკოტურიზმის სახეები

სამეცნიერო ტურიზმი

ბუნების ისტორიის ტურები

სათავგადასავლო ტურიზმი

მოგზაურობა დაცულ ტერიტორიებზე

# სამეცნიერო ტურიზმი

როგორც წესი, ასეთ ტურებში ტურისტულ ობიექტებს დაცული ტერიტორიები - ნაკრძალები, ეროვნული პარკები, აღკვეთილები, ბუნების ძეგლები და სხვ. წარმოადგენენ.

ასეთი ტურების დროს ტურისტები მონაწილეობენ სხვადასხვა კვლევით ექსპედიციებში, ატარებენ საველე დაკვირვებებს. მსგავსი ეკოტურია მაგალითად, კრუიზი გალაპაგოსის კუნძულებზე.

# ბუნების ისტორიის ტურები

სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული ექსკურსიების, ტურების ერთობლიობა, რომლებიც სპეციალურ ეკოლოგიურ მარშრუტებზე, უფრო ხშირად კი დაცულ ტერიტორიებსა და აკვატორიებში ტარდება.

ასეთი ტურები მეტად პოპულარულია გერმანიაში, ამიტომაც მას ხშირად ეკოტურიზმის განვითარების გერმანულ მოდელს უწოდებენ.

# სათავგადასავლო ტურები

ეკოტურიზმის ეს სახე აერთიანებს ყველანაირ მოგზაურობას, რომელიც დაკავშირებულია გადაადგილების აქტიურ საშუალებებთან და ბუნებაში დასვენებასთან;

მასში გაერთიანებულია ისეთი ტურები, როგორიცაა ცალკეული რეგიონების შესწავლა, მოკლევადიანი ტურები ველოსიპედებით, ფეხით მოგზაურობა რთულად მისადგომ ადგილებში, მოგზაურობა ფიზიკური დატვირთვებით ან საცხოვრებლად სპეციალურად მოწყობილი ავტომობილებით.

მას ასევე მიეკუთვნება ალპინიზმი, კლდეზე ცოცვა, სპელეოტურიზმი, სამთო და ქვეითი ტურიზმი, წყლის ტურიზმი, სამთო-სათხილამურო და საცხენოსნო ტურიზმი, დაივინგი, პარაპლანერიზმი და სხვ. ექსტრემალური სახეობები.

# მოგზაურობა დაცულ ტერიტორიებზე

დაცული ტერიტორიების უნიკალური და ეგზოტიკური ბუნებრივი ობიექტებისა და მოვლენების  მაღალი ატრაქციულობა  ბევრ ტურისტს იზიდავს. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში  მოგზაურობისას ტურისტთა 60%-ის მიზანს სწორედ დაცული ტერიტორიების მონახულება წარმოადგენს.

ეკოტურიზმის ეს სახე კარგად არის განვითარებული ავსტრალიაშიც, ამიტომ ამ სახეს  ხშირად ეკოტურიზმის განვითარების ავსტრალიურ მოდელსაც უწოდებენ.

# ეკოტურიზმი ციფრებში

- ეკოტურიზმზე საერთაშორისო ტურიზმის 40-60% მოდის;
- ეკოტურიზმის როლი მსოფლიოში ყოველწლიურად 20-34%-ით იზრდება;
- 2022 წელს მსოფლიო ტურისტული ბაზრის 45%-ზე მეტი ეკოტურიზმზე მოდიოდა;

# ეკოტურიზმის გეოგრაფია

- ეკოტურიზმის გეოგრაფია მეტად თავისებურია: ეკოტურისტთა ძირითადი ნაკადები ტრადიციული საერთაშორისო ნაკადების საწინააღმდეგოა და ისინი უპირატესობას ტროპიკებში მდებარე იმ განვითარებად ქვეყნებს ანიჭებენ, რომელთა ბუნებაც ეგზოტიკური და საინტერესოა. ასეთი ქვეყნებია: კენია, ტანზანია, ეკვადორი, კოსტა-რიკა, ასევე ავსტრალია, ახალი ზელანდია, სარ-ი და სხვ.
- თუმცა, ეკოტურისტები მშობლიურ ქვეყნებშიც მოგზაურობენ.
- ეკოტურიზმი ასევე ძალიან პოპულარულია აშშ-ში, გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

# ეკოტურისტის 10 მცნება

ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით

1. გვახსოვდეს, რომ დედამიწა უნდა დავიცვათ;
2. დავტოვოთ მხოლოდ ეკონაკვალევი, თან წავიღოთ მხოლოდ ფოტოსურათები;
3. შევიცნოთ სამყარო, რომელშიც მოვხვდით: ხალხთა კულტურა და გეოგრაფია;
4. პატივი ვცეთ ადგილობრივ მოსახლეობას;
5. არ ვიყიდოთ იმ მწარმოებლების პროდუქცია, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარემოს;

# ეკოტურისტის 10 მცნება

## ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით

6. ყოველთვის ვიაროთ გაკვალული ბილიკებით;

7. მხარი დავუჭიროთ გარემოსდაცვით პროგრამებს;

8. სადაც შესაძლებელია, გამოვიყენოთ გარემოსდაცვითი მიდგომები;

9. მხარი დავუჭიროთ და ვითანამშრომლოთ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც საქმიანობენ გარემოსდაცვით სფეროში;

10. ვისარგებლოთ იმ ტურისტული ფირმებისა და კომპანიების მომსახურებით, რომლებიც ემხრობიან ეკოტურიზმის პრინციპებს.

# ეკოსაზოგადოებების მიზნები

- ✓ ეკოტურიზმის პოპულარიზაცია;
- ✓ ეკოტურისტული ობიექტების შექმნა;
- ✓ სხვადასხვა ორგანიზაციის დაარსება, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან ეკოტურიზმის განვითარებით;
- ✓ საგანმანათლებლო და პროპაგანდისტული საქმიანობა, რათა  გავლენა მოახდინონ ადგილობრივ საზოგადოებასა და ტურისტულ ინდუსტრიაზე, რომ მათ, რაც შეიძლება ფართოდ დანერგონ ყოველდღიურ საქმიანობაში ეკოტურიზმის პრინციპები:  მაგ; სასტუმრობეში გამოყენებული იქნეს ეკოტექნოლოგიები - მზისა და ქარის ენერგია, ნარჩენების მეორადი გადამუშავება;
- ✓ ადგილობრივი ძალების დახმარებით ტურიზმის განვითარების ფორსირება;

# ეკოტურიზმი საქართველოში

- მდგრადი ტურიზმის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რადგან ეს ნიშნავს განვითარებას იმ საშუალებებით, რომლებსაც უარყოფითი გავლენა არ ექნება გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე.
- საქართველოს დაცულ ტერიტორიებს ძალიან დიდი მნიშვლელობა აქვთ  ეკოტურიზმის განვითარებისათვის.
- საქართველოში ტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება და  ეკოტურიზმიც  ძალიან პოპულარული და მოთხოვნადი ხდება.

# ეკოტურიზმი საქართველოში

- საქართველოს უნიკალური ეკოსისტემა, ფრინველთა და ცხოველთა იშვიათი სახეობები, კლიმატური პირობები და სხვა ფაქტორები საშუალებას იძლევა, რომ საქართველოში წლის ნებისმიერ პერიოდში ჩამოვიდნენ ეკოტურისტები.
- ეკოტურიზმის განვითარების მიზნით  საქართველოში საჭიროა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

# დასკვნა

- ეკოტურიზმი ტურიზმის განსაკუთრებული სახეობაა და, ეს არა მარტო კარგად ორგანიზებული ტურებია, არამედ მოგზაურობაა, რომელიც მოიცავს, როგორც საგანმანათლებლო და შემეცნებით, ისე სოციალურ და, რა თქმა უნდა, გარემოსდაცვით პროგრამებს.
- ეკოტურიზმი ბუნებრივი ტერიტორიების მდგარდი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

# დასკვნა

ეკოტურიზმის ძირითადი მნიშვნელობა და თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ასტიმულირებს და აკმაყოფილებს საზოგადოების ბუნებასთან ურთიერთობის სურვილს, აფერხებს ბუნებასა და კულტურაზე ნეგატიურ ზემოქმედებას, ტურისტებსა და ტუროპერატორებს განაწყობს ბუნების დაცვითი საქმიანობისკენ და ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ეკოტურიზმი  კონკრეტულად, ცალკეული ადამიანის და  ზოგადად, კაცობრიობის  საქმიანობის ნათელი მაგალითია, რომელიც პრაქტიკაში თვალსაჩინოდ  გვიჩვენებს, თუ რა არის  „ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი  წიგნიერება“.

# დასკვნა

ეკოტურიზმის სფეროს მონაწილეებმა ისეთი მომსახურება და შეთავაზებები უნდა განავითარონ, რომ შესაბამისობაში მოვიდნენ ტურისტული ბაზრის მოთხოვნებთან და ამით მიიზიდონ მოგზაურები.

აქ განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო თავისი მხარდამჭერი პოლიტიკით, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურის მოწყობას, საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვასა და განხორციელებას  და ინვესტორების მოძიებას.

ამ მიმართულებით სახელმწიფოს საბოლოო მიზანი ფინანსურად მომგებიანი ეკოტურიზმის ინდუსტრიის ჩამოყალიბებაა ბუნებრივი გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პირობებში.